




მთის კურორტზე თხილამურაბზე/სნოუბორდზე
სამოყვარულო სრიალის დროს უბედური
შემთხვევისგან დაზღვევის პირობები

#TBCSKI/001/19



1. ტერმინთა განმარტება

მზღვეველი - სს „თიბისი დაზღვევა“;

დამზღვევი - ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც წინამდებარე პირობების საფუძველზე გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან;

დაზღვეული - 5 წლიდან 65 წლამდე ასაკის ფიზიკური პირი (საქართველოს მოქალაქე ან დროებითი ან მუდმივი ბინადრობის ნებართვის მქონე პირი), რომელიც მითითებულია პოლისში და რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება დაზღვევა;

მოსარგებლე - პირი, რომელიც უფლებამოსილია სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, მოსარგებლე არის დაზღვეული ან დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში დაზღვეულის კანონიერი მემკვიდრე;

სადაზღვევო პოლისი - მზღვეველსა და დამზღვევს შორის სადაზღვევო ხელშეკრულების დადების ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი;

აბონემენტი - ბილეთი/საშვი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს უფლებას ისრიალოს თხილამურებით ან სნოუბორდით გარკვეული მთის კურორტის გარკვეულ ტრასაზე/ტრასებზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში და ჯერადობით.

სადაზღვევო პერიოდი (მოქმედების პერიოდი) - დაზღვევის პოლისში მითითებული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია; სადაზღვევო პოლისის შუადღის 12:00 საათამდე შექენის შემთხვევაში სადაზღვევო პერიოდი იწყება შექენის დღეს, სათხილამურო ტრასის გახსნის საათიდან ან შექენისთანავე, თუ შექენა განხორციელდა ტრასის გახსნის შემდეგ. სადაზღვევო პოლისის შუადღის 12:00 საათის შემდეგ შექენის შემთხვევაში სადაზღვევო პერიოდი იწყება მომდევნო დღეს, სათხილამურო ტრასის გახსნის საათიდან.

სადაზღვევო პრემია - დაზღვევის საფასური, რომელიც დამზღვევმა უნდა გადაუხადოს მზღვეველს სადაზღვევო პოლისით განსაზღვრული წესითა და ოდენობით;

ჯამური სადაზღვევო ლიმიტი - პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს მაქსიმალურ შესაძლო სადაზღვევო ანაზღაურებას;

სადაზღვევო ქველიმიტი - პოლისში მითითებული თანხა, რომელიც წარმოადგენს მაქსიმალურ შესაძლო სადაზღვევო ანაზღაურებას კონკრეტული დაფარული რისკის ან მომსახურების მიხედვით;

სადაზღვევო შემთხვევა - წინამდებარე დაზღვევის პირობებით განსაზღვრული შემთხვევა, რომლის დადგომისას მზღვეველს წარმოეშობა სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ვალდებულება;

უბედური შემთხვევა - გარეშე ძალის ფიზიკური (მექანიკური, თერმული) ზემოქმედების შედეგად დაზღვეულის სხეულის დაზიანება, რომელიც მოხდა დაფარული კურორტის ტერიტორიის რუკაზე აღნიშნულ სასრიალო ტრასაზე თხილამურებით ან სნოუბორდით სამოყვარულო სრიალის დროს ან შესაბამის საბაგიროზე ასვლის ან საბაგიროდან ჩასვლის დროს, აბონემენტის და სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში;

მსუბუქი დაზიანება - უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანება, რომელიც საჭიროებს გადაუდებელ ამბულატორულ მკურნალობას სამედიცინო დაწესებულებაში. ამბულატორული მკურნალობა - უბედური შემთხვევის შედეგად ისეთი სამედიცინო მომსახურება, რომლის გაწევაც აუცილებელია შემთხვევის დადგომიდან პირველი 24 საათის განმავლობაში და ამავდროულად დაყოვნება სამედიცინო დაწესებულებაში არ აღემატება ერთ საწოლ/დღეს.

საშუალო სიმძიმის და მძიმე დაზიანება - უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული სხეულის დაზიანება, რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალურ მკურნალობას სამედიცინო დაწესებულებაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან პირველი 24 საათის განმავლობაში და გრძელდება არაუმეტეს 10 დღისა. ჰოსპიტალური მკურნალობა - მკურნალობა, რომლის დროსაც კლინიკაში დაყოვნება აღემატება ერთ საწოლ/დღეს.

გარდაცვალება - სადაზღვევო შემთხვევის დღიდან 3 (სამი) კალენდარული თვის განმავლობაში უშუალოდ ამ უბედური შემთხვევით გამოწვეული სხეულის დაზიანების შედეგად დაზღვეულის გარდაცვალება.

სადაზღვევო ანაზღაურება - სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველის მიერ შესაბამისი ლიმიტის/ქველიმიტის ფარგლებში გასაცემი თანხა;

გადაუდებელი მდგომარეობა - უბედური შემთხვევის შედეგად ჯანმრთელობის მდგომარეობის უეცარი გაუარესება, რომელიც საფრთხეს უქმნის დაზღვეულის სიცოცხლეს/ჯანმრთელობას და საჭიროებს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას;

ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებამდე - უბედური შემთხვევის გამო შემთხვევის ადგილზე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის მიერ დაზღვეულისათვის გაწეული მომსახურება და/ან სამედიცინო ჩვენებით დაზღვეულის გადაყვანა სასწრაფოს ბრიგადის მანქანით ან ჩვენებიდან გამომდინარე რეანიმობილით უახლოეს სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც შესაძლებელია მისთვის ადეკვატური დახმარების გაწევა;

ვერტმფრენით გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებამდე - უბედური შემთხვევის გამო სიცოცხლისათვის საშიში ტრავმების შემთხვევაში დაზღვეულის სიცოცხლის გადასარჩენად შესაბამისი სამედიცინო ჩვენებით დაზღვეულის ვერტმფრენით გადაყვანა უახლოეს სამედიცინო დაწესებულებამდე, სადაც შესაძლებელია ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მიღება.

დაფარვის ტერიტორია - სადაზღვევო პოლისის დაფარვის ტერიტორია ემთხვევა პოლისთან ერთად შეძენილი აბონემენტით გათვალისწინებული და სადაზღვევო პოლისში მითითებული საქართველოს კონკრეტული კურორტის/კურორტების ტრასების ტერიტორიას.

2. სადაზღვევო დაფარვა

2.1. ძირითადი დაფარვა

წინამდებარე დაზღვევა ითვალისწინებს დაზღვეულისთვის/მოსარგებლისთვის უბედური შემთხვევის შედეგად შემდეგი ფიქსირებული თანხის ანაზღაურებას:

მომსახურება/დაფარული რისკი	ასანაზღაურებელი თანხა
ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებამდე რეანიმობილით	1'000 ლარი*
ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულებამდე ვერტმფრენით	15'000 ლარი*
მსუბუქი დაზიანება	3'000 ლარი*
საშუალო სიმძიმის და მძიმე დაზიანება	5'000 ლარი*
გარდაცვალება უბედური შემთხვევის შედეგად	10'000 ლარი
ჯამური სადაზღვევო ლიმიტი	30'000 ლარი

*მაგრამ არაუმეტეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯებისა

3. სადაზღვევო ანაზღაურება

სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეული/დამზღვევი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, შეატყობინოს მზღვეველს ნომერზე +995 32 2 42 11 11.

სასიცოცხლო ჩვენებით ვერტმფრენით გადაყვანის აუცილებლობის შემთხვევაში, გადაყვანის ორგანიზებას და გადამყვანთან პირდაპირ ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს მზღვეველი. მზღვეველი იტოვებს უფლებასუარი განაცხადოს მასთან შეთანხმების გარეშე ვერტმფრენით განხორციელებული გადაყვანის ხარჯების ანაზღაურებაზე. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი შემთხვევებზე, როდესაც ვერტმფრენით გადაადგილება შეუძლებელია მეტეოროლოგიური, ფორს-მაჟორული გარემოებების ან ვერტმფრენის საფრენოსნო-ტექნიკური მახასიათებლების საექსპლუატაციო შეზღუდვების გამო.

იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანიასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება შეუძლებელია ობიექტური მიზეზის გამო, სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინება უნდა განხორციელდეს 24 საათის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გადაცილების შემთხვევაში, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ვადაგადაცილება ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო მტკიცებულებებით.

სადაზღვევო ანაზღაურების მისაღებად სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა დაზღვეულმა ან დაზღვეულის წარმომადგენელმა უნდა მიაწოდოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ სადაზღვევო პოლისი
- ✓ აბონემენტი („სკი პასის“ ბილეთი/ბარათი)
- ✓ დაზღვეულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- ✓ სამთო კურორტის სამაშველო სამსახურის მიერ შედგენილი ანგარიში მიღებული ტრავმის შესახებ;
- ✓ სამედიცინო დაწესებულებამდე რეანიმობილით ტრანსპორტირების განხორციელების შემთხვევაში - აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი და მომსახურების გადახდის დოკუმენტი;
- ✓ სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარებული მკურნალობის შემთხვევაში - ფორმა #100/IVa და მომსახურებაში გადახდილი თანხის დამადასტურებელი ფინანსური დოკუმენტი;
- ✓ დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში - გარდაცვალების მოწმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს წინამდებარე დაზღვევით დაფარული უბედური შემთხვევის შედეგად გარდაცვალებას; მოსარგებლის/კანონიერი მემკვიდრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; ნოტარიულად დამოწმებული სამკვიდრო მოწმობა.

მზღვეველი იტოვებს უფლებას, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, მოითხოვოს წინამდებარე მუხლში ჩამოთვლილი საბუთებისგან განსხვავებული დამატებითი საბუთების წარმოდგენა და ჩაატაროს/მოითხოვოს დამატებითი მოკვლევა/ექსპერტიზა სადაზღვევო შემთხვევის გარემოებების დადგენის მიზნით.

წინამდებარე სადაზღვევო პოლისის შექმნით დაზღვეული მზღვეველს ანიჭებს უფლებას გამოითხოვოს მესამე პირთაგან საჭირო ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.

სადაზღვევო ანაზღაურება (გარდა გარდაცვალების შემთხვევისა) მოსარგებლეზე გაიცემა წინამდებარე პარაგრაფში განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტის მზღვეველის მიერ მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევაში ანაზღაურება გაიცემა ყველა აუცილებელი დოკუმენტის მზღვეველის მიერ მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. გამონაკლისები

წინამდებარე დაზღვევის პირობები არ ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას შემდეგ შემთხვევებში:

- მზღვეველისათვის სატელეფონო შეტყობინების დაგვიანება ან შეუტყობინებლობა;
- ქრონიკულ ან/და სადაზღვევო პერიოდამდე არსებულ დაავადებებთან და/ან თანდაყოლილ, გენეტიკურ დაავადებებთან, პათოლოგიებთან, დეფექტებთან და მათ გართულებებთან დაკავშირებული ტრავმები/გარდაცვალება;
- შემთხვევებს, როდესაც დაზღვეული ვერ ახერხებს სადაზღვევო შემთხვევის ხდომილების დამტკიცებას;
- საბაგროთი მოძრაობის დროს საბაგროს ტექნიკური გაუმართაობის და ამ გაუმართაობის გამო საბაგროდან ევაკუაციის შედეგად დამდგარი უბედური შემთხვევა;
- უბედური შემთხვევის/ტრავმის შედეგად ორსულობის გართულება/შენწყვეტა;

- ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ალკოჰოლური ნივთიერებების ან ექიმის დანიშნულების გარეშე მიღებული წამლების მოხმარების შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეული დაზიანებები;
- შემთხვევებს, რომლებიც დაკავშირებულია დაზღვეულის პროფესიულ სპორტში, შეჯიბრებში და შემდეგი სპორტის სახეობებში მონაწილეობასთან: გაუკვალავ თოვლში სრიალი, „სნოუმობაილინგი“, „Freestyle“ სრიალი, ვერტმფრენიდან სრიალი (Heli Skiing), კურორტის რუკაზე აღნიშნული სასრიალო ტრასის/ტრასებს გარეთ სრიალი; იმ კურორტზე სრიალი, რომელიც არ არის მითითებული სადაზღვევო პოლისში;
- კანონსაწინააღმდეგო ქმედებისას, თვითდაშავებით, თვითმკვლელობით ან მათი მცდელობისას მიღებული დაზიანებები;
- შემთხვევებს, რომლებიც გამოწვეულია დაზღვეულის მიერ არააუცილებელ ხიფათში თავის ჩაგდებათ;
- სტიქიური უბედურების შედეგად დამდგარი შემთხვევები;
- ტერორისტული აქტებით განპირობებული ჯანმრთელობის დაზიანება;
- ამ დოკუმენტით გათვალისწინებული მზღვეველის მიერ ზარალის ასანაზღაურებლად აუცილებელი საბუთების სრულყოფილად წარმოუდგენლობა.

5. სხვა მნიშვნელოვანი პირობები

- დაზღვევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე პირობების შესაბამისად;
- წინამდებარე დაზღვევა ძალაშია მხოლოდ პოლისში მითითებული საქართველოს სამთო კურორტების რუკებზე აღნიშნულ ტრასებზე და სადაზღვევო პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევისას;
- პოლისის პრემია გადაიხდება ერთიანად პოლისის გაცემისთანავე;
- წინამდებარე სადაზღვევო პირობების ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება დაზღვევის პირობების ქართულ ვერსიას.
- მხარეთა მიერ ერთმანეთისათვის ნებისმიერი ფორმით (ზეპირი ან წერილობითი) მიწოდებული ყველა ინფორმაცია ითვლება კონფიდენციალურად და არ შეიძლება მისი მესამე პირისათვის გადაცემა მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
- მზღვეველი უფლებამოსილია, განხორციელებული დაზღვევის ფარგლებში მიღებული პერსონალური მონაცემები დაამუშავოს: ა) სადაზღვევო მომსახურების გაწევის მიზნით, ბ) დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მზღვეველის ინტერესების დაცვის მიზნით და გ) ზარალის დარეგულირების მიზნებისათვის, მათ შორის ნებისმიერი კერძო თუ საჯარო დაწესებულებიდან, გამოითხოვოს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია ასევე,

აღნიშნული მონაცემები განათავსოს მის მფლობელობაში/სარგებლობაში არსებულ სერვერებზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ;

- მზღვეველი ასევე უფლებამოსილია, მისთვის მიწოდებული პერსონალური ინფორმაცია დაამუშაოს, ასევე, პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის - ახალი სადაზღვევო პროდუქტებისა და მომსახურების შესათავაზებლად. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მზღვეველს მის შესახებ მონაცემთა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის გამოყენების შეწყვეტა იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი - მზღვეველისათვის წერილობითი ან სატელეკომუნიკაციო საშუალებებით მიმართვის გზით.

6. სადაზღვევო პოლისის მოქმედების დასრულება და შეწყვეტა

- სადაზღვევო პოლისის მოქმედება დასრულებულად ჩაითვლება პოლისის მოქმედების ვადის გასვლის შემთხვევაში ან პოლისის პირობებით გათვალისწინებული სადაზღვევო ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში;
- პოლისში მითითებული სადაზღვევო პერიოდის დაწყების შემდგომ პოლისის გაუქმების შემთხვევაში სადაზღვევო პრემია დაბრუნებას არ ექვემდებარება;

7. მხარეთა შორის უთანხმოებათა გადაწყვეტა

წინამდებარე დაზღვევის პირობებთან დაკავშირებით მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკების გზით. საკითხის მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტის შეუძლებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს საერთო სასამართლოსათვის მიმართვის გზით.